საქართველოს
სახალხო დამცველი

სპეციალური ანგარიში

დედათა და ბავშვთა თავშესაფრების მონიტორინგის შედეგები

თბილისი
2022

შინაარსი

შესავალი 2

1. მეთოდოლოგია 3

2. ძირითადი მიგნებები 3

3. ზოგადი ინფორმაცია ქვეპროგრამის შესახებ 5

4. სერვისის განხორციელება - რესურსები და ეფექტიანობა 6

4.1. ქვეპროგრამის უზრუნველყოფა და დაფინანსება 6

4.2. დაწესებულებაში პირველადი განთავსება 8

4.3. ძალადობისგან დაცვის უფლება, რეაბილიტაცია 10

4.4. დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება - განათლება, დასაქმება და სოციალიზაცია 13

4.5. უკუკავშირი და გასაჩივრების მექანიზმი 15

4.6. ინფრასტრუქტურა და სანიტარიული მდგომარეობა 16

4.7.კვება 17

4.8. ჯანმრთელობის უფლება 18

5. Covid-19-ის პანდემიის პირობებში მომსახურების მართვა და ადგილზე დაწესებული ძირითადი შეზღუდვები 19

დასკვნა 20

რეკომენდაციები 21

შესავალი

დედათა და ბავშვთა კეთილდღეობა, მათ შორის, მათი სოციალური უფლებების რეალიზების ხელშეწყობა, სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი უნდა იყოს. მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა დაცვა და დედების სოციალურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა, ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში აღზრდის ხელშეწყობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად ეფექტიანი და სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული სერვისები აქვს შემუშავებული სახელმწიფოს მოქმედი სოციალური პოლიტიკის ფარგლებში. ამის პარალელურად კი, ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად ხარისხიანად და ჯეროვნად ახორციელებენ ქვეყანაში მოქმედ მოდელს პასუხისმგებელი უწყებები და ორგანიზაციები.

,,ბავშვის უფლებათა კოდექსით''[1] განსაზღვრული დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, სწორედ ოჯახის/ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიებაა, რომლის მიზანსაც ბავშვის მიტოვებისა და ოჯახისგან განცალკევების თავიდან არიდება და ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება წარმოადგენს. ქვეპროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებაა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ქვეპროგრამის განხორციელებას, ისე მომსახურებაზე კოორდინაციასა და ზედამხედველობას.

ქვეყანაში ამ სერვისის განხორციელებას, სახელმწიფოს ვაუჩერული, ასევე, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ოთხი პროვაიდერი ორგანიზაცია უზრუნველყოფს.[2] სულ საქართველოში ფუნქციონირებს 6 დედათა და ბავშვთა თავშესაფრის სახლი, სადაც ერთდროულად თავშესაფრის სერვისის მიმღები 88 პირი შეიძლება ჩაირიცხოს.[3] საქართველოს სახალხო დამცველმა, 2021 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, სერვისში არსებული გამოწვევებისა და მომსახურების მიმღებთა საჭიროებების შესასწავლად, საქართველოში მდებარე ექვსივე დედათა და ბავშვთა თავშესაფარი[4] მოინახულა. მონიტორინგის განხორციელების პერიოდისთვის, თავშესაფრებში მომსახურების მიმღები 74 პირი ირიცხებოდა.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის მონიტორინგის ძირითადი შედეგები, გამოვლენილი გამოწვევები და პასუხისმგებელი უწყებების მიმართ გაცემული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება და შესრულებაც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს საქართველოში დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის სერვისის ეფექტიან

---

[1] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2 [ბოლოს ნანახია: 18.12.2021.

[2] ა(ა)იპ ასოციაცია ,,საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი", ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი", არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი'', ა(ა)იპ საზოგადოება ,,ბილიკი".

[3] ერთდროულად მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობა არ აღემატება 15-ს ქუთაისში, 63 პირს - თბილისში და 10 პირს - ხაშურში. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია 2021 წლის 30 დეკემბრის № 07/11172, 30/12/21.

[4] თბილისი (4 თავშესაფარი), ქუთაისი (1 თავშესაფარი) და ხაშური (1 თავშესაფარი).

განხორციელებას და თავშესაფრით მოსარგებლე დედებისა და ბავშვების უფლებების განუხრელ დაცვას.

1. მეთოდოლოგია

მონიტორინგის მოსამზადებელ ეტაპზე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეიმუშავა დაწესებულებებში მონიტორინგის ჩატარების სპეციალური მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, მათ შორის, მონიტორინგის სამიზნე ჯგუფებისთვის განკუთვნილი კითხვარები, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან გამოითხოვა და დაამუშავა შესაბამისი ინფორმაცია და დაგეგმა მონიტორინგის ეტაპები.

დაწესებულებებში მონიტორინგი ჩატარდა არაგეგმიური ვიზიტების ფარგლებში; ადგილზე შემოწმდა თავშესაფრების ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობა, გაწეული მომსახურების ხარისხი და ეფექტიანობა. ამ მიზნით, სრულად დავათვალიერეთ დაწესებულებები, მათ შორის, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და კვების ორგანიზაციული წესების გათვალისწინებით, გავეცანით დაწესებულებებში წარმოებულ დოკუმენტაციას, გავესაუბრეთ მომსახურების მიმღებ პირებს (ბავშვიანი/ორსული არასრულწლოვანი/სრულწლოვანი დედები), და დაწესებულებების თანამშრომლებს - ლიდერს, დიასახლისს, ფსიქოლოგს, დასაქმების კოორდინატორს, სოციალურ მუშაკს და სხვ.

მონიტორინგი ეფუძნებოდა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო პრინციპებს: სარწმუნო და ზუსტი ინფორმაციის მოპოვება, კონფიდენციალობის დაცვა, სანდოობა, ზიანის მიუყენებლობა, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა, სენსიტიურობა, პროფესიონალიზმი.[5] ასევე, მომსახურების მიმღებებთან გასაუბრების პროცესი ემყარებოდა მათ ინფორმირებულ თანხმობას, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ფასდებოდა რესპონდენტის მგრძნობელობა კონკრეტული შეკითხვის მიმართ.

ინდივიდუალური გასაუბრება გაიმართა 15 დედასთან, თავშესაფრებში დასაქმებულ 7 სოციალურ მუშაკთან და 3 ფსიქოლოგთან, ადმინისტრაციის 10 წარმომადგენელთან და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს შესაბამისი რეგიონების სოციალურ მუშაკებთან, რის საფუძველზეც შეივსო შესაბამისი ინდივიდუალური კითხვარები.

მონიტორინგისას მიღებული ინფორმაცია დამუშავდა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით. გაანალიზდა მოქმედ კანონმდებლობასთან თავშესაფრებში არსებული სიტუაციის შესაბამისობა და მიღებული შედეგები, შესაბამისი რეკომენდაციებით, აისახა წინამდებარე სპეციალურ ანგარიშში.

2. ძირითადი მიგნებები

მონიტორინგის შედეგად, სახალხო დამცველის აპარატმა, მომსახურების მიმღებთა ძირითადი უფლებების დაცვის, ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილების, მათ შორის, მათი

[5] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარი, „სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების მონიტორინგის შესახებ", პროფესიული ტრენინგების სერია №7, თავი 5, ძირითადი პრინციპები, ჟენევა, ISBN 92-1-154137-9.

დასაქმების, პროფესიული განვითარებისა და განათლების ხელშეწყობის, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების კუთხით, მნიშვნელოვანი გამოწვევები გამოავლინა.

ნათლად წარმოჩინდა, რომ მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი პრობლემების ნაწილი ქვეყანაში არსებული სერვისებისა და რესურსების სიმწირით არის გამოწვეული, კერძოდ, სახელმწიფოს არ აქვს თავშესაფრების მომსახურების მიმღებ პირთა მხარდაჭერისა და გაძლიერების ეფექტიანი სერვისები და გაწეული მომსახურების ხარისხი უმეტესად დამოკიდებულია პროვაიდერი ორგანიზაციების ფინანსურ, მატერიალურ და ადმინისტრაციულ რესურსზე:

- სახელმწიფოს მხრიდან თავშესაფრების დაფინანსება მწირია და გამოყოფილი რესურსების ფარგლებში ვერ ხერხდება მომსახურების მიმღებთა ყველა საჭიროების დაკმაყოფილება, მათ შორის, ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესება, სანიტარიული და ჰიგიენური კვანძების კეთილმოწყობა, დედებისათვის საკმარისი და სათანადო პირადი, მათ შორის, პირველადი მოხმარების ჰიგიენური ნივთების შეძენა
- დედათა და ბავშვთა თავშესაფრების მომსახურების მიმღებ პირთა ფსიქოემოციური მხარდაჭერა, სოციალური რეაბილიტაცია, უმეტესად თავშესაფრების ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის მეშვეობით ხორციელდება, სახელმწიფოს არ აქვს სპეციალური და კონკრეტული სერვისი მსგავსი საჭიროების მქონე პირების გასაძლიერებლად
- თავშესაფარში ჩარიცხულ დედებს ნაკლებად აქვთ ეკონომიკური დამოუკიდებლობა, საკუთარი ფინანსური შემოსავალი მათ ხშირად არ გააჩნიათ; ქალების გაძლიერება ამ კუთხით და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება პრობლემურია; მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება უმეტესად სოციალური უნარების ნაკლებობას და ფინანსურ სიდუხჭირეს უკავშირდება; თავშესაფარში ცხოვრების შემდგომ, მომსახურების მიმღებმა პირებმა ხშირად არ იციან, სად უნდა გააგრძელონ ცხოვრება და როგორ შეძლონ ბავშვისა და თავიანთი საჭიროებების ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა
- დედების პროფესიული გადამზადება, დასაქმება და პროფილური განათლების მიცემა უმეტესად პროვაიდერი ორგანიზაციის სოციალური მუშაკებისა და ლიდერის ჩართულობით ხორციელდება. ამასთანავე, კადრების სიმცირის გამო, სწავლისა თუ დასაქმების შემთხვევაში, პრობლემები თავს იჩენს დედების მხრიდან ბავშვების მზრუნველ პირთან დატოვების კუთხითაც. ამ მხრივ, განსაკუთრებით მწვავე პრობლემები იკვეთება ხაშურში მდებარე თავშესაფარში, სადაც გეოგრაფიულად არ არის მისაწვდომი პროფესიული სასწავლებელი და სამუშაო ადგილების სიმცირის გამო, ადგილზე დედების დასაქმებაც რთულია
- სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკის ჩართულობა დაბალია ინდივიდუალური შემთხვევების წარმართვაში, საქმეების ზედამხედველობასა და მომსახურების მიმღებ პირთა ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფაში
- თავშესაფრებში ჩარიცხული ძალადობის მსხვერპლი პირების სარეაბილიტაციო სერვისი, ხშირად არათანმიმდევრული და ფრაგმენტულია და, მათ შორის, დამატებითი მხარდამჭერი სერვისების არარსებობის გამო, ვერ პასუხობს საჭიროებებს

- გამოიკვეთა, რომ დაბალია როგორც დაწესებულებების თანამშრომელთა, ისე თავად მომსახურების მიმღებ პირთა ინფორმირებულობა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. ამ მხრივ, დაწესებულებებში იკვეთება სტერეოტიპული დამოკიდებულებები და საჭიროა, როგორც კადრების, ისე მომსახურების მიმღებთა უფრო საფუძვლიანი ინფორმირება.

3. ზოგადი ინფორმაცია ქვეპროგრამის შესახებ

,,ბავშვის უფლებათა კოდექსის'' თანახმად, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო, ქმნის ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი პირის მხარდაჭერის პროგრამებს, მათთვის მატერიალური და არამატერიალური დახმარების აღმოსაჩენად.[6] ქვეპროგრამა ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის''[7] ფარგლებში ხორციელდება. დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა ოჯახის მხარდამჭერი მექანიზმია, რომლის სამიზნე ჯგუფებს შეადგენენ მოწყვლად სოციალურ პირობებში მცხოვრები სხვადასხვა გამოწვევის წინაშე მყოფი დედები, არასრულწლოვან შვილ(ებ)თან ერთად, თუკი ერთ-ერთი შვილი მაინც არის 10 წლამდე ასაკის, ასევე, სხვადასხვა პრობლემის მქონე ქალები, რომლებიც ორსულობის არანაკლებ 26-ე კვირაში იმყოფებიან (მათ შორის, არასრულწლოვან შვილებთან ერთად, თუკი ერთ-ერთი შვილი 10 წლამდე ასაკისაა. დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით, თითოეულ რაიონში მდებარე თავშესაფრებში ჩარიცხულ მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობა ერთდროულად არ აღემატება - 15 პირს ქუთაისში, 63 პირს - თბილისში და 10 პირს - ხაშურში.

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს" ინფორმაციით[8], 2020 წელს ამ სერვისით ჯამში ისარგებლა 438-მა პირმა, ხოლო 2021 წელს - 480-მა (იხ. ცხრილი №1):

[6] საქართველოს კანონი ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი'', მუხ. 28; ინფორმაცია ხელმისაწვდომია:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2 [ბოლოს ნანახია: 18.12.2021].

[7] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №825 დადგენილება ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის'' დამტკიცების შესახებ.

[8] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2021 წლის 30 დეკემბრის № 07/11172 კორესპონდენცია.



ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად მიმწოდებელთან პირის მოთავსებისა და გაყვანის საკითხები რეგულირდება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად. ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები მოიცავს:

1. 24-საათიანი თავშესაფრითა და უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოფას;
2. კვების პროდუქტებით, ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას;
3. პროფესიული, ფორმალური და არაფორმალური განათლების და შემდგომი დასაქმების ხელშეწყობას;
4. გადაუდებელ შემთხვევაში ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას;
5. ფსიქოლოგის მომსახურებას;
6. აუცილებელი სხვა დამატებითი საჭიროებების უზრუნველყოფას.

4. სერვისის განხორციელება - რესურსები და ეფექტიანობა

4.1. ქვეპროგრამის უზრუნველყოფა და დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში მიწოდებულ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენება არამატერიალიზებული ვაუჩერი, რომლის დღიური დაფინანსების ოდენობა თითოეულ პირზე შეადგენს 21 ლარს, ხოლო შშმ ბავშვისა და შშმ დედის შემთხვევაში – 30 ლარს. ამასთანავე, შეუვსებელი ადგილები ანაზღაურდება დღეში 10,5 ლარით, მაგრამ არაუმეტეს ლიმიტით განსაზღვრული ადგილების 50%-ისა.

სახელმწიფო დაფინანსების პარალელურად, დედათა და ბავშვთა თავშესაფრების საარსებო ფინანსებს პროვაიდერი ორგანიზაციების თანადაფინანსება წარმოადგენს, რომელიც პრიორიტეტულად კვებას, ჯანდაცვისა და მედიკამენტებით უზრუნველყოფის საკითხებს, დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებასა და მომსახურების მიმღებთა პირველადი საჭიროებების უზრუნველყოფას ხმარდება. დაწესებულებების პრაქტიკა და გამოცდილება განსხვავებულია ფინანსების განკარგვისა და დაგეგმარების კუთხით, რიგ შემთხვევებში, დედებისა და მათი შვილებისთვის მიწოდებული სერვისის ხარისხის და მომსახურების ეფექტიანობასთან დაკავშირებული გამოწვევები, სწორედ, არასაკმარის ფინანსებს უკავშირდება.

თავშესაფრებში გამოკითხული ადმინისტრაციული პერსონალის თანახმად, პროვაიდერი ორგანიზაციების დონორების გარეშე, მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებით, თითქმის შეუძლებელი გახდებოდა თავშესაფრებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის მუშაობა. ამ ეტაპზეც კი, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის მიუხედავად, არასაკმარისი ფინანსების გამო, ვერ ხერხდება საჭირო რაოდენობის მომსახურე პერსონალის, მათ შორის - ძიძების, დიასახლისის აყვანა, ასევე, დედებისა და მათი შვილებისთვის ახალი ტანისამოსის შეძენა, თუ მათთვის ჰიგიენური და თავის მოვლის საშუალებების ჯეროვანი განახლება. პერსონალის სიმცირის გამო, ხშირ შემთხვევაში, სათანადოდ ვერ ეწყობა ხელი დედების განათლებასა და შემდგომ დასაქმებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ ჰყავთ ერთ წლამდე ასაკის შვილი.[9]

კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ თავშესაფრების მომსახურების მიმღებ პირებს აქტიურად ესაჭიროებათ იურიდიული მომსახურება და სამართლებრივ საკითხებზე კონსულტირება, მათ შორის, სასამართლო პროცესებსა და ადმინისტრაციულ ორგანოში წარმომადგენლობა, საჩივრისა და სხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებაში დახმარება. ამ მხრივ, მომსახურების მიმღებთა დახმარების პრაქტიკა არაერთგვაროვანია. იურიდიული მომსახურების მისაღებად, პროვაიდერი ორგანიზაციები, ცალკეულ შემთხვევებში, შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებს[10] უკავშირდებიან. მაგალითად, „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელის", ასევე, საქველმოქმედო ორგანიზაცია „კარიტასის" თავშესაფრები ალიმენტის დაკისრების, ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის განსაზღვრის წესისა და სხვა რელევანტური ტიპის დავებზე, ხშირად, აქტიურად მიმართავენ სხვადასხვა ორგანიზაციას, მათ შორის, ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას", ა(ა)იპ „საფარის", თუმცა ამგვარი პრაქტიკა ნაკლებად გვხვდება ხაშურის თავშესაფარში. მონიტორინგმა ასევე აჩვენა, რომ მომსახურების მიმღებ პირებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია, თუ როგორ მიიღონ სახელმწიფოსგან მიზნობრივი და ეფექტიანი სერვისი.

[9] ამის შესახებ დეტალურად იხილეთ 4.4. ქვეთავი.

[10] ამ მხრივ ნაკლები გამოცდილება აქვს ა(ა)იპ ორგანიზაცია „ბილიკის" თავშესაფარს ხაშურში, სადაც გეოგრაფიულად ნაკლებადაა ხელმისაწვდომი შესაბამისი სამართლებრივი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები; მომსახურების მიმღებთა კონსულტირება, ძირითადად, პროვაიდერი ორგანიზაციის შიდა საკადრო, ან სახელმწიფო რესურსზეა დამოკიდებული.

4.2. დაწესებულებაში პირველადი განთავსება

დაწესებულებაში პირებს უმეტესად გადაუდებლად ათავსებენ, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკის ან საპატრულო პოლიციის ჩართულობით. გადაუდებელ შემთხვევებში, თავშესაფარში განთავსების შემდეგ, იწყება მათი ოფიციალურად ჩარიცხვის პროცედურები. შედარებით მცირეა შემთხვევები, როდესაც მომსახურების მიმღებ პირთა თავშესაფარში ჩარიცხვა წინასწარ დაგეგმილად და კოორდინირებულად ხდება, მაგალითად, ალტერნატიული სერვისიდან, მათ შორის, ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრიდან ან ოჯახიდან.

შესწავლილი პრაქტიკიდან იკვეთება, რომ დაწესებულებაში მომსახურების მიმღები პირი 3 თვემდე ვადით ირიცხება. ვადის გაგრძელება შესაძლებელია 8 თვემდე, როდესაც დედას ჰყავს 1 წლის ასაკს ზემოთ ბავშვი, ხოლო როდესაც დედას ჰყავს ერთ წლამდე ასაკის შვილი, ჩარიცხვის ხანგრძლივობის გაზრდა ერთ წლამდეა შესაძლებელი.[11]

თავშესაფარში პირის პირველად მოხვედრისას, მორიგე დიასახლისი ან/და დაწესებულების ლიდერი (კოორდინატორი) მას აცნობს ზოგად წესებს და მომდევნო დღეებში, ეტაპობრივად შინაგანაწესს.[12] მოგვიანებით, თუმცა მომსახურების მიმღები პირის თავშესაფარში ჩარიცხვიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის ვადაში, ზრუნვის სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის სოციალური მუშაკი ახორციელებს მის პირველად შეფასებას, რაც მოიცავს - მასთან შეხვედრას, გასაუბრებას, მისი ჯანმრთელობის, ზოგადი ფსიქოემოციური მდგომარეობის გაცნობას, სოციალური უნარებისა და საჭიროებების გამოვლენას.[13]

თავშესაფრებში დასაქმებული თანამშრომლების თანახმად, დედა ან მომავალი დედა, რომელიც ჩაირიცხება თავშესაფარში, უნდა ფლობდეს საკუთარი თავისა და ბავშვის მოვლისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განცხადებით, მათი მომსახურება შეუძლიათ მიიღონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დედებმაც, თუმცა, როგორც ვიზუალური დათვალიერების შედეგად იკვეთება, არცერთი დაწესებულება არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, მათ შორის, ეტლით მოსარგებლე და გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირებისთვის.

მომსახურების მიმღები პირის საჭიროებების პირველადი შეფასების შემდეგ, სოციალური მუშაკი შეიმუშავებს ოჯახის განვითარების გეგმას, რომელიც მოიცავს დედისა და ბავშვის საჭიროებების აღწერას, გასატარებელი ღონისძიებებისა და შესრულების ინდიკატორების მითითებას. ასევე, დგება ბავშვის განვითარების გეგმა, თუმცა თავშესაფრებში გამოკითხული ადმინისტრაციისა და სოციალური მუშაკების ნაწილის განცხადებით, დამოუკიდებელი

[11] გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მეურვეობა-მზრუნველობის რეგიონული საბჭოს კომპეტენციაში შედის და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მოგვიანებით ეცნობებათ თავშესაფრების ადმინისტრაციას.

[12] თითოეულ თავშესაფარს აქვს დამტკიცებული შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს რეგულაციებს დაწესებულებაში ცხოვრების ძირითადი წესებისა და პირობების, დღის განრიგის, მომსახურების მიმღებ პირთა და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების შესახებ.

[13] ცნობები ემყარება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკების ინფორმაციას.

დოკუმენტის სახით ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შედგენას უმეტესად ფორმალური ხასიათი აქვს, რადგან ოჯახის განვითარების გეგმა მოიცავს ღონისძიებებსა და ინდიკატორებს, რომლებიც ასევე აფასებს დედასთან ერთად მცხოვრები ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, ადგენს მისი განვითარებისა და გაუმჯობესების კონკრეტულ აქტივობებს, ინდიკატორებსა და მისაღწევ შედეგებს. შედეგად, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმა, შინაარსობრივი თვალსაზრისით, იმეორებს ოჯახის განვითარების გეგმაში გაწერილ აქტივობებს და გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის განსხვავებულ დამხმარე სამუშაო ინსტრუმენტს არ წარმოადგენს.

თავშესაფრების უმეტესობაში[14] ასევე ფუნქციონირებს პროვაიდერი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ადგილობრივი მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც შედგება ფსიქოლოგის, დაწესებულების სოციალური მუშაკის, ლიდერის, დასაქმების კოორდინატორის[15] და თავშესაფარში მყოფი სხვა ძირითადი კადრებისგან. მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქციაში შედის მომსახურების მიმღებთა საჭიროებების გამოკვეთა, მათი დაკმაყოფილებისა და მიღწეული შედეგების გადახედვა, პრობლემური შემთხვევების განხილვა. თავშესაფრების მხრიდან გაწეული საქმიანობის მიუხედავად, ამ პროცესში შედარებით სუსტია სახელმწიფო სოციალური მუშაკების კოორდინაცია, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, პირის თავშესაფარში ჩარიცხვის შემდეგ, შემთხვევების მართვა და კონკრეტული ინდივიდუალური განვითარების გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება და ზედამხედველობა თავშესაფრების ადმინისტრაციას ეკისრება.

მომსახურების მიმღებთა პირადი საქმეების[16] მოწესრიგებაზეც, უმეტესად, თავშესაფრის ადმინისტრაცია ზრუნავს. თითოეულ პირთან დაკავშირებით წარმოებული პირადი საქმეები ძირითადად მოიცავს, თუმცა არ ამოიწურება შემდეგი დოკუმენტებით: ა) მომსახურების მიმღების შეფასების ფორმა; ბ) ოჯახისა და ბავშვის განვითარების გეგმები; გ) დაწესებულებაში ჩარიცხვის/მომსახურების ვადის გაგრძელების შესახებ მეურვეობა-მზრუნველობის რეგიონული საბჭოს საოქმო გადაწყვეტილება; დ) მომსახურების მიმღების მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი;[17] ე) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №100).

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მომსახურების მიმღებთა პირადი ინფორმაციის დაცვის საკითხი. თავშესაფარში განთავსებისას, დედებს, მართალია, მიეწოდებათ პირველადი ინფორმაცია თავიანთი პირადი ცხოვრების უფლების დაცვისა და პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის შესახებ, თუმცა მოგვიანებით, დაწესებულებაში დედებს შორის აქტიურად მიმდინარეობს პირადი ინფორმაციის გაზიარება და გამჟღავნება, რაც შემდგომში კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობის მიზეზიც ხდება. მონიტორინგის ფარგლებში ასევე

[14] თბილისისა და ქუთაისის ,,ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი''-ს თავშესაფრები, საქველმოქმედო ფონდი ,,კარიტასის'' და ,,ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის'' თავშესაფრები.

[15] იმ დაწესებულებებში, სადაც ასეთი შტატი გამოყოფილია.

[16] იგულისხმება როგორც სამართლებრივი, ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი და პიროვნების მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების, ისე შიდა დოკუმენტების - შეფასების ფორმების, ინდივიდუალური განვითარების გეგმებისა და ადგილზე შემუშავებული/დაცული დოკუმენტების მოძიება და განკარგვა.

[17] პიროვნების მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების მოწესრიგებას ძირითადად თავშესაფრების სოციალური მუშაკი, ხოლო ხაშურის თავშესაფარში, სადაც სოციალური მუშაკი არ ჰყავთ, ლიდერი უზრუნველყოფს.

გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი თავშესაფრის დიასახლისმა მომსახურების მიმღები ერთ-ერთი დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გაამჟღავნა, რაც დაწესებულებაში დამატებითი კონფლიქტის მიზეზი გახდა.

მომსახურების მიმღებ პირებს თავშესაფრის დატოვების უფლება კალენდარული წლის განმავლობაში 20 დღის ვადით შეუძლიათ, თუმცა ერთჯერადად გასვლისას ჯამური ხანგრძლივობა 10 კალენდარულ დღეს არ უნდა აღემატებოდეს. ადმინისტრაციის წარმომადგენლების თანახმად, თავშესაფარში ჩარიცხულ პირებს ხშირად დაწესებულების გარეთ არ ჰყავთ მხარდამჭერი ქსელი, რის გამოც, ხშირად, გრძელვადიანად ვერ იყენებენ ღამისთევით გარეთ გასვლის უფლებას, ვერ გადიან თავშესაფრიდან და ბიოლოგიურ ოჯახთან აქტიურ კავშირს ნაკლებად ამყარებენ.

4.3. ძალადობისგან დაცვის უფლება, რეაბილიტაცია

თავშესაფარში ჩარიცხული პირები უმეტესად ტრავმული გამოცდილების, ძალადობის, თავშესაფრის არქონის ან დისფუნქციური ოჯახების ქონის, უმეტესად, მძიმე ცხოვრებისეული გამოცდილების გამო ხვდებიან დაწესებულებებში და ჩარიცხვისას კრიტიკულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან, შესაბამისად, ზრუნვა მათ ფსიქოემოციურ რეაბილიტაციასა და მხარდაჭერაზე, ასევე, სოციალური უნარების გაუმჯობესებაზე, მომსახურების დაგეგმვისა და მიწოდების პროცესში, უმნიშვნელოვანესია. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ინფორმაციის[18] თანახმად, თავშესაფარში ჩარიცხული როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პირებისთვის ფსიქოსოციალური მომსახურების მიწოდების მაჩვენებელი შემდეგნაირია:

[18] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2021 წლის 30 დეკემბრის № 07/11172 კორესპონდენცია.



მიუხედავად ზემოაღნიშნული სტატისტიკისა, საქართველოს სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგების თანახმად ირკვევა, რომ სახელმწიფოს, თავშესაფრის მომსახურების მიმღები დედებისა და ბავშვებისათვის, ეფექტიანი რეაბილიტაციისა და სოციალიზაციის სერვისები არ აქვს. სახელმწიფოს ფსიქოლოგის ან სოციალური მუშაკების სამუშაო დატვირთვის, არასაკმარისი დამატებითი რესურსებისა და სერვისების გამო, მომსახურების მიმღებთა ფსიქოლოგიური შეფასება, კონსულტირება და რეაბილიტაცია დამოკიდებულია თავშესაფრების რესურსსა და გარე სერვისებზე. განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი პირები, მთავარ გამოწვევას, ძალადობის მსხვერპლთა გრძელვადიანი და თანმიმდევრული რეაბილიტაცია წარმოადგენს, რომლის მთავარ დაბრკოლებადაც სერვისების ნაკლებეფექტიანობა, მათ შორის, მომსახურებაში ჩარიცხული პირების არასტაბილური დამოკიდებულებების გამო, და ფსიქოსოციალური მომსახურების რესურსების სიმწირე სახელდება.[19]

მომსახურების მიმღებ პირებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, პერსონალის, რიგ შემთხვევებში, სტერეოტიპული დამოკიდებულება და მიმართვის ფორმები მომსახურების მიმღები დედების მიმართ,[20] რაც მათსა და თავშესაფრის ადმინისტრაციას შორის უნდობლობის ან დამატებით კონფლიქტის წარმოშობის საფუძველიც ხდება. ამასთანავე, გამოკითხული დედების ნაწილს მიაჩნია, რომ ფსიქოლოგის მომსახურება არ არის საკმარისი, ან რიგ შემთხვევებში, არ სურთ სპეციალისტებთან კონსულტირება. ამის ერთ-

[19] გასაუბრების პროცესში ამ პრობლემებს მთავარ გამოწვევად ასახელებენ სახელმწიფო ზრუნვის სოციალური მუშაკები, თავშესაფრების ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ფსიქოლოგები.

[20] მაგალითად, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაუცველობის დროს, დედებისთვის დამამცირებელი მიმართვების, ასევე, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ სტერეოტიპული ინფორმაციის გავრცელების, მათ შორის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გადაცემის შესახებ.

ერთი მიზეზია მომსახურების მიმღებთა მხრიდან ნდობის დაბალი ხარისხი და ინტერესის ნაკლებობა.

თავშესაფრებში არსებული პრობლემები, გამოწვევები და მომსახურების მიმღებთა შორის უკმაყოფილება, ხშირად, დედებს შორის კონფლიქტსა და სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზრდება; კონფლიქტების წარმოქმნის საფუძველი ხშირად ყოფილა დედებს შორის პირადი დაპირისპირება, პირადი ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევა, ჰიგიენური და თავის მოვლის საშუალებების განაწილების პრობლემა, საკვები მენიუსა და კერძების მომზადების პროცესში აზრთა სხვადასხვაობა, დალაგების განრიგის განაწილება და ა.შ. კონფლიქტების განეიტრალებას დიასახლისები და ლიდერები საუბრებით, გაფრთხილებით ცდილობენ, თუმცა, მომსახურების მიმღებ პირებს, სწორი და გასაგები ფორმით უკუკავშირი და პრობლემების გადაჭრის გზებზე ინფორმაცია, უმეტესად, არ მიეწოდებათ. თავშესაფრებში, ისეთი კონფლიქტური შემთხვევების დროს, რომელთა მართვასაც თავად დამოუკიდებლად ვერ ახერხებს, ადმინისტრაცია იძახებს საპატრულო პოლიციას; პრობლემის გამწვავების შემთხვევაში, შემდგომი რეაგირებისათვის, ასევე აცნობებენ პროვაიდერი ორგანიზაციის სოციალურ მუშაკსა და ფსიქოლოგს.

სამწუხაროდ, თავშესაფრის მომსახურების მიმღებ პირთა ნაწილი, ტრავმული გამოცდილების, ეკონომიკური და სოციალური სიდუხჭირის გამო, ხშირად თავს დათრგუნულად, უიმედოდ გრძნობს და ნაკლებად იჩენს დამხმარე სოციალურ აქტივობებში ჩართვის ინიციატივას, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ თითოეულის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მათთან პროაქტიულად იმუშაონ მხარდამჭერმა სპეციალისტებმა.

თავის მხრივ, გამოკითხული ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების განცხადებით, თავშესაფრებში ასეთი საჭიროების პირები მომსახურებაში 3-დან 12 თვემდე ვადით ირიცხებიან, თუმცა ეს პერიოდი საკმარისი არ არის საფუძვლიანი ფსიქოთერაპიული დახმარებისთვის, შეფასების ინდიკატორებისა და გეგმების გასაწერად, არც შესრულებული სამუშაოს შესამოწმებლად და პროცესის პერიოდული „სუპერვიზიისთვის".

ძალადობის მსხვერპლ დედებთან და მათ შვილებთან მუშაობის მრავალფეროვანი გამოცდილება აქვს „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი - საქართველოს" თავშესაფრებს, სადაც პროვაიდერი ორგანიზაციის ფსიქოლოგის მიერ ბენეფიციართა მომსახურების ეტაპი შეფასებისა და სოციალური მომსახურების პარალელურად, მოიცავს და საჭიროების მიხედვით ტარდება - ინდივიდუალური თერაპია, „მშობელთა კლუბის" ღონისძიებები, კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებები, არტთერაპია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ძალადობის მსხვერპლთა და ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე მომსახურების მიმღებ პირთა რეაბილიტაციის კუთხით არსებული გამოწვევები კიდევ უფრო გაამწვავა კორონა-ვირუსის პანდემიით შექმნილმა რეალობამ. პანდემიის დაწყებამდე ემოციური გაჯანსაღებისა და თერაპიის მიზნით, თავშესაფრებში ეწყობოდა ჯგუფური ღონისძიებები,

მათ შორის, ექსკურსიები, ვიზიტები კინოთეატრებსა და მუზეუმებში, რაც მძიმე ტრამვული გამოცდილების მქონე პირთა ემოციურ განტვირთვას და სოციალურ ადაპტაციას ემსახურებოდა. თუმცა, კორონა ვირუსის გავრცელების რისკის გამო, 2020-2021 წლებში, მსგავსი ჯგუფური, მათ შორის, გასვლითი ღონისძიებები შეიზღუდა და თერაპიული და შემეცნებითი აქტივობები ძირითადად თავშესაფრების ბაზაზე, ინდივიდუალური აქტივობების ფარგლებში ტარდებოდა, რაც უარყოფითად აისახა დედათა და ბავშვთა ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე და გაახშირა დედებს შორის კონფლიქტები.

4.4. დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება - განათლება, დასაქმება და სოციალიზაცია

„დედათა და ბავშვთა თავშესაფრების“ ქვეპროგრამის მომსახურების მიმღებთა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება თავშესაფრების უმთავრესი ამოცანაა. ამ პროცესში, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა მათი სოციალური უნარების გაძლიერება და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოსამზადებლად ეკონომიკური და ფინანსური კეთილდღეობის მიღწევა, თანადგომის ქსელის მობილიზება და მხარდაჭერა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მომსახურების მიმღებ ქალთან ინტენსიურად მუშაობს ყველა მხარდამჭერი პროფესიონალი, მწირი სახელმწიფო სერვისების გამო, ეს პროცესი მნიშვნელოვნად ფერხდება და სასურველ შედეგს ვერ აღწევს.

ზემოაღნიშნული ამოცანების მიღწევა ხშირად რთულდება სხვადასხვა გარემოებების გამო, მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი სისტემური გამოწვევები:

- სახელმწიფოს არ შეუმუშავებია დამხმარე სერვისები და რეგულაციები, რომლებიც მოწყვლადი მომსახურების მიმღები პირების პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებას მხარს დაუჭერდა და წაახალისებდა
- გამონაკლისი შემთხვევების გარდა, თავშესაფარი არ ითვალისწინებს ბავშვის დამტოვებელ დამატებით კადრს, რათა მომსახურებაში ჩარიცხული პირების ბავშვებს, როდესაც თავად პროფესიულ სასწავლებელში ან სამუშაოზე მიდიან, მეთვალყურეობა გაუწიონ და იზრუნონ არასრულწლოვნებზე. ამ კუთხით, მისასალმებელია საქველმოქმედო ფონდ „კარიტასის“ თავშესაფრის პრაქტიკა, სადაც მრავალშვილიანი დედებისთვის ძიძა აიყვანეს. გარდა ამისა, პროვაიდერი ორგანიზაციის ტერიტორიაზე არის დღის ცენტრი და საბავშვო ბაღი, სადაც ბავშვებს დღის განმავლობაში ტოვებენ, ყურადღებას აქცევენ და მათთვის შესაფერის სერვისს აწვდიან. დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, დამხმარე ძიძის აყვანის გამოცდილება აქვს თბილისის „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის“ თავშესაფარსაც, სადაც ბავშვის მომვლელად დედას ძიძა დაუქირავეს, თუმცა ამ ფაქტმა, არათანასწორუფლებიანი მიდგომის გამო, სხვა მომსახურების მიმღები დედების უკმაყოფილება გამოიწვია.

ასევე მისასალმებელია საქველმოქმედო ფონდ „კარიტასის“ თავშესაფარში დამკვიდრებული პრაქტიკა, რად გულისხმობს ორგანიზაციის ბაზაზე ჭრა-კერვის კურსის ფუნქციონირებას. პროვაიდერი ორგანიზაცია ასევე აფინანსებს დედებისათვის პროფესიულ სასწავლებელში ან

სხვადასხვა ობიექტში პროფილურ სწავლებას (მაგალითად, სტილისტის, მიმტანის, მასაჟისტის, კოსმეტოლოგის და ა.შ. პროფესიები). დაწესებულებაში ადგილზე საკმარისი პერსონალია ბავშვების მისახედად და სამეთვალყურეოდ, თავშესაფრის ბაზაზე ასევე ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, რაც დედებისთვის მნიშვნელოვანი დამხმარე სერვისია.

დასაქმების კოორდინატორი ჰყავთ ორგანიზაცია „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელის" თავშესაფრებშიც, თუმცა პრობლემას წარმოადგენს იმ დედების დასაქმება და პროფესიული განათლება, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავთ, რადგან დღის განმავლობაში დაწესებულებაში მხოლოდ ერთი დიასახლისია, რომლის ფუნქციებშიც შედის თავშესაფრის მოვლა-მოწესრიგება, მეთვალყურეობა და სხვა მომსახურების მიმღებთა დახმარება. ამ გამოწვევების მიუხედავად, ქუთაისის „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელში" 2020-2021 წლებში შესაძლებელი გახდა 6 დედის ჩართვა პროფესიული გადამზადების პროგრამაში[21] თბილისის თავშესაფრებში, ამავე პერიოდში, პროგრამაში ჩაერთო 17 ქალი, ხოლო დასაქმდა 4.[22]

მომსახურების მიმღები დედების დასაქმების კარგი პრაქტიკა აქვს ორგანიზაცია „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის" თავშესაფარს, სადაც თავშესაფრის შენობაში ფუნქციონირებს „ქეითერინგის" პროგრამა, არის საცხობი დანადგარები, სადაც მომსახურებაში ჩართული დედები გადიან კულინარიის კურსებს და შემდგომ, ადგილზე ამზადებენ პურ-ფუნთუშეულს, საკონდიტრო პროდუქციას, აქვთ საკვების მიწოდების სერვისი ორგანიზაციებისთვის, ადგილობრივი კაფეტერია და სავაჭრო ობიექტი. ამ გზით ისინი კულინარის პროფესიასაც ეუფლებიან, და თან ეს მათთვის დასაქმების მოქნილი შესაძლებლობა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებაც არის.[23]

პროფესიული განვითარების, დასაქმების ხელმშემწყობი რესურსების სიმწირეა პროვაიდერი ორგანიზაცია „ბილიკის" თავშესაფარში.[24] ხაშურის მუნიციპალიტეტში, მცირე სამუშაო ადგილებისა და პროფესიული სასწავლებლების ნაკლებობის გამო, თითქმის შეუძლებელია დედების გაძლიერება პროფესიული კუთხით; 2020-2021 წლებში, ა(ა)იპ საზოგადოება „ბილიკმა" მხოლოდ 1 ქალი დაასაქმა.[25]

თავშესაფრების თანამშრომელთა თქმით, სოციალური უნარების გაძლიერება და თანადგომის ქსელის მხარდაჭერაზე ზრუნვა, უმეტესად, თავშესაფრების რესურსის ფარგლებში მიმდინარეობს. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკების წვლილი, რიგ სახლებში, დედების მოტივაციის ამაღლებისა და დაინტერესების, მათ ემოციურ გაჯანსაღებაზე

---

[21] მასაჟისტი - ორი პირი, კულინარი - ერთი პირი, მოლარე-ოპერატორი - ერთი პირი, მანიკურ-პედიკურის სპეციალისტი - ერთი პირი, სტილისტი - ერთი პირი.

[22] კულინარიის კურსი, პირველადი სამედიცინო დახმარების კურსი, დეკორაციების დამზადების შემსწავლელი კურსი, ხელნაკეთი ნივთებისა და აქსესუარების შემსწავლელი კურსი, ჭრა-კერვის კურსი.

[23] დედები, რომლებიც ამ სერვისით არ სარგებლობენ, თავიანთი უნარების შესაბამისად ჩართულნი არიან (სურვილის შემთხვევაში), სხვა სახის პროფესიული განვითარების კურსებში (მაგ., სტილისტობა, ჭრა-კერვა და ა.შ.).

[24] ხაშური.

[25]

ზრუნვისა და მხარდამჭერის ქსელის გაძლიერების, დამხმარე სერვისებთან კოორდინაციის, რეფერირებისა და გადამისამართების თვალსაზრისით, უმნიშვნელოა.

მომსახურების მიმღები დედების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის პროცესში, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მომსახურებიდან გასვლის შემდგომ საცხოვრებლის არქონა. დედებს ძირითადად ესაჭიროებათ ბინის ქირით უზრუნველყოფა, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობების მუნიციპალიტეტების სპეციალური სერვისის ფარგლებში მსგავსი პრაქტიკა ნაკლებად არის მხარდაჭერილი და „დედათა და ბავშვთა თავშესაფრების" ქვეპროგრამების მომსახურების მიმღებ პირებზე მოქმედი ზოგადი რეგულაციები ვრცელდება. ამ მხრივ საინტერესო გამოცდილება აქვს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ადგილობრივ თავშესაფარს, სადაც მომსახურებიდან გასული პირებისთვის გათვალისწინებულია მუნიციპალური ფინანსური წახალისება და მხარდაჭერა, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულები არიან თუ არა დედები მათ სამოქმედო ტერიტორიაზე.

მომსახურების მიმღები დედების პროფესიული განვითარებისა და დასაქმების კუთხით არსებული გამოწვევების მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ მაქსიმალურად ეწყობა ხელი მათი შვილების სააღმზრდელო-სასწავლო პროცესში ჩართვას და ამ კუთხით, პრობლემები არ იკვეთება, გარდა პანდემიის პირობებში არსებული რეალობის ნეგატიური გავლენისა.

4.5. უკუკავშირი და გასაჩივრების მექანიზმი

დედათა და ბავშვთა თავშესაფრებში, მომსახურების მიმღებებსა და ადმინისტრაციას შორის უკუკავშირი ძირითადად სიტყვიერი, ზეპირი ფორმით წარმოებს, წერილობით კონკრეტული მოთხოვნის ან საჭიროების გამოხატვას, მომსახურების მიმღებთა უმრავლესობა თავს არიდებს.

მომსახურების მიმღებთა შორის ხშირად იკვეთება ნდობის დაბალი ხარისხი თავშესაფრის ადმინისტრაციის მიმართ, მათ მიერ გამოთქმული უკმაყოფილებისა და პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით. თავშესაფრებში განლაგებულია[26] საჩივრების ე.წ. „ნდობის" ყუთი, სადაც პირებს შეუძლიათ ანონიმურად მიუთითონ გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული უკმაყოფილების, ან თავიანთი სურვილების შესახებ, თუმცა შემოწმებული სახლების დიდ ნაწილში ეს მექანიზმი თითქმის არ გამოიყენება. ამ გზით თავიანთი პრეტენზიების გამოხატვას თავშესაფარში მცხოვრები დედები ხშირად თავს არიდებენ, შესაბამისად, ეს მექანიზმი არაეფექტიანია და ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მომსახურების მიმღებ პირებს შორის, ცალკეულ შემთხვევებში, იკვეთება უკმაყოფილება გაწეული მომსახურების ხარისხის, კვების, ჰიგიენური საშუალებებისა და ტანსაცმლის მიწოდების, ასევე, დასაქმების პრობლემების თაობაზე: მაგალითად, გასაუბრების დროს ერთ-ერთმა დედამ აღნიშნა, რომ იშვიათად მიეწოდებათ ხილი, მაშინაც, როდესაც ურიგდებათ, მხოლოდ რამდენიმე ვაშლისა და ბანანის სახით, და თან იმდენად მცირე ოდენობით, რომ

[26] ე.წ. „საჩივრების ყუთის" განთავსების ადგილი მომსახურების მიმღებმა პირებმა არ იცოდნენ არცერთ შემთხვევაში (მაგალითად, ხაშურის თავშესაფარში).

დედები არჩევენ, ბავშვებს მისცენ ხილი და თავად არ მიიღონ. უკმაყოფილება გამოითქვა ბავშვების დატოვების კუთხითაც, ოღონდ მხოლოდ სიტყვიერი ფორმით. მონიტორინგის შედეგად ასევე გამოვლინდა თანამშრომლების მხრიდან მომსახურების მიმღებთა მიმართ დამამცირებელი ფრაზებით მიმართვისა და დამოკიდებულების შემთხვევები, რაზეც, მომსახურებაში ჩართული დედები, ხშირ შემთხვევაში, პრეტენზიის გამოთქმას ერიდებიან; მომსახურების მიმღებმა დედებმა ახსენეს მათ მიმართ გამოყენებული ტერმინები - „უპატრონოები ხართ", „ბინძურო" და ა.შ.

4.6. ინფრასტრუქტურა და სანიტარიული მდგომარეობა

თავშესაფრების ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა და გაუმჯობესება ძირითადად მომსახურების მიმწოდებელი პროვაიდერი ორგანიზაციების რესურსით ხორციელდება. როგორც მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, შემოწმებული დაწესებულებების ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს. განსაკუთრებით მოძველებულია, დაზიანებულია და ტექნიკურად გაუმართავია სველი წერტილები და იქ არსებული ინვენტარი. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, არცერთი დაწესებულების ინფრასტრუქტურა არ არის მორგებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე.

სისუფთავესა და სანიტარიულ-ჰიგიენურ მოწესრიგებაზე, მორიგეობის წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, უმეტესად თავად დედები ზრუნავენ. თუმცა, ჰიგიენური ნორმების დაცვა რიგ დაწესებულებებში ვერ ხერხდება მოძველებული ინფრასტრუქტურისა და გაუმართავი ინვენტარის გამო, მათ შორის, ა(ა)იპ ორგანიზაცია „ბილიკის" ხაშურის თავშესაფარში, რომლის სამი სველი წერტილიდან, 2 სველ წერტილში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები არ არის დაცული, დგას მძიმე სუნი, გამოსაცვლელია ონკანები. პრობლემური მდგომარეობაა პროვაიდერ ორგანიზაცია „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის" ფარგლებში მოქმედ თავშესაფარშიც, სადაც ხელსაბანთან არ იყო ცხელი წყალი. საშხაპეებსა და საპირფარეშოებში იდგა მძიმე სუნი, იყო ანტისანიტარია, გამოსაცვლელი იყო ნიჟარები და არ მუშაობდა ხელსაბანების ონკანები. საპირფარეშოებში მწყობრიდან იყო გამოსული ჩასარეცხი სისტემა და დაზიანებული იყო საშხაპეები. კედლები იყო ნესტიანი და დაზიანებული. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთა ვიზიტის დროს, მომსახურების მიმღებთათვის განკუთვნილ სველ წერტილებში არ ჰქონდათ საპონი და ხელის გასამშრალებელი ქაღალდი. მოწოდებული ინფორმაციით, საპირფარეშოებში არსებული მძიმე სუნის გამო, ფანჯრები მუდმივად ღიაა, რაც ზამთრის პერიოდში, დამატებით დისკომფორტს ქმნის დედებისა და ბავშვებისთვის. არასათანადო ინფრასტრუქტურული პირობები იკვეთება ქუთაისის „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის" თავშესაფარშიც, სადაც ზოგადად დაწესებულების ფიზიკურ გარემოს ესაჭიროება სარემონტო სამუშაოები და ინვენტარის განახლება, ძალზე მძიმე სანიტარიულ-ჰიგიენური და ინფრასტრუქტურული მდგომარეობაა სველ წერტილებშიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს დაწესებულებების ფიზიკური გარემოს მოწესრიგებაზე, სადაც თითოეული დედისა და მისი შვილებისთვის უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხო, კეთილსაიმედო და ადაპტირებული გარემო.

4.7. კვება

დედათა და ბავშვთა თავშესაფრებთან მიმართებით, კვების ორგანიზაციული წესების კონკრეტული სტანდარტები არ მოქმედებს, დაწესებულებებში საკვები მენიუს შედგენა, კვების პროდუქტებით მომარაგება და კვების ბლოკში სანიტარიული ნორმების დაცვა თავშესაფრების შინაგანაწესებით დადგენილი რეგულაციების ფარგლებში რეგულირდება.[27]

შემოწმებულ დაწესებულებათა უმრავლესობაში, კვების ბლოკის სისუფთავეზე დედები და დიასახლისი ზრუნავენ. პროდუქტების მარაგი ივსება კვირაში ერთხელ. შენახვის ვადების დაცვით, ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი რძის პროდუქტები. ასევე, ხელმისაწვდომია საკმარისი რაოდენობის ბურღულეული, ბოსტნეული და ხორცპროდუქტი. თავშესაფრებში ასევე უზრუნველყოფილია ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების მარაგი და მათზე წვდომა.

მიუხედავად იმ დადებითი ასპექტისა, რაც ახლავს თან დედების უშუალო მონაწილეობას საკვები მენიუს შედგენასა და კერძების მომზადებაში, ამ პროცესს თავისი პრობლემებიც აქვს: მომსახურების დაწესებულებებში საკვების მომზადებისა და კვების მენიუს შედგენის პროცესი, რიგ შემთხვევებში, კონფლიქტებსა და გაურკვევლობას იწვევდა, დედები ხშირად კამათობენ, რომელ დღეს რა სახის საკვები უნდა მომზადდეს, შეუთანხმებლობის შემთხვევებიც ხშირია. ამ მიზეზის გამო, საქველმოქმედო ფონდმა „კარიტასმა" მზარეულის შტატი დაამატა, და ახლა უკვე მზარეული არეგულირებს კვებასთან და მარაგის განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებს. მას შემდეგ, რაც მენიუს მზარეული ადგენს დედებთან შეთანხმებით, პროცესი დაბალანსდა და დედებს შორის კონფლიქტებიც შემცირდა.

აღსანიშნავია ცალკეული თავშესაფრის გამოცდილება ამ კუთხით:

თბილისის „ეს-ო-ეს" თავშესაფარში, ისევე როგორც ქუთაისის თავშესაფარში, კვების მენიუ გამოკრული იყო სამზარეულოს კედელზე, თუმცა თავად მომსახურების მიმღები დედები ყოველდღიურად ათანხმებენ საკვებს და მის მომზადებაზეც თავად არიან პასუხისმგებლები. საკვები პროდუქტების მარაგს განკარგავს დიასახლისი, თავშესაფრებს კვების პროდუქტებიც საკმარისი რაოდენობით მიეწოდებათ, თუმცა პრობლემები წარმოიქმნება პროდუქტების განკარგვის და მომსახურების მიმღებ პირებს შორის განაწილებისას.[28]

ქუთაისის თავშესაფარში, მონიტორინგის დროს, არ აღმოჩნდა ხილის მარაგი. მოწოდებული ინფორმაციით, მიღებისთანავე, ხილს, კანფეტებს და ორცხობილას მომსახურების მიმღებ პირებს უნაწილებენ და ისინი თავად ინახავენ ოთახებში. თუმცა მომსახურების მიმღებ პირთა განცხადებით, ხილი არასაკმარისი რაოდენობით მიეწოდებათ და მხოლოდ ბავშვებისთვისაა განკუთვნილი.

---

[27] კვების მენიუ დგება კვირაში ერთხელ და გამოიკვრება სამზარეულოს კედელზეც, თუმცა იგი უმეტესად საკოორდინაციო ხასიათისაა და მომსახურების მიმღები დედები, დიასახლისთან და ლიდერთან შეთანხმებით ან დიასახლისი დედებთან ერთად, საჭიროების მიხედვით, ყოველდღიურად ადგენენ განახლებულ მენიუს.

[28] მაგალითად, ერთ-ერთ სახლში მიწოდებული საკვები პროდუქტი ინახებოდა მარაგში, თუმცა მომსახურების მიმღები პირებისთვის არ მიუციათ; დედებმა საკუთარი თანხით შეიძინეს პროდუქტი.

ხაშურის თავშესაფარში, მოწოდებული ინფორმაციით, მენიუ კვირაში ერთხელ დგება და მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მომსახურების მიმღებთა სურვილისამებრ. სპეციალურ კვებაზე მყოფი დედებისა და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი კვება. კვების ბლოკის დასუფთავება-დალაგებასა და მარაგზე პასუხისმგებლები არიან დიასახლისი და მომსახურებაში ჩარიცხული დედები. დაწესებულებაში მცირე რაოდენობით იყო რძის პროდუქტი.

პროვაიდერი ორგანიზაციის, „კარიტასის" თავშესაფარში კვების ბლოკის დასუფთავება-დალაგებასა და მარაგზე პასუხისმგებლები არიან მზარეული და დიასახლისი. მარაგი კვირაში ორჯერ ივსება. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხდება საკვების შეძენა. ბავშვთა და დიეტური კვება უზრუნველყოფილია საჭიროების მიხედვით, მათ შორის, მარაგში იყო ჩვილთა კვება.

პროვაიდერი ორგანიზაციის, „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის" თავშესაფარში „ქეითერინგის" მომსახურებისათვის გამოყოფილია დიდი დამოუკიდებელი სამზარეულო, სადაც დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, არის ახალი ინვენტარი, ტექნიკა და ჭურჭელი. მომსახურების მიმღები ქალები აქტიურად არიან დასაქმებულები საკვების მომზადებაში, რომელსაც შემდეგ სავაჭრო ობიექტს აბარებენ; დაწესებულებაში ასევე აქვთ საკუთარი მაღაზია და პატარა კაფე, რომელიც აქტიურად მუშაობს. თავშესაფრის ეზოში არის სათბურები, სადაც მოჰყავთ ბოსტნეული და გარკვეული სახის ხილი. მოწოდებული ინფორმაციით, მოყვანილ პროდუქტს თავად იყენებენ საკვებად და კერძების მოსამზადებლად, ასევე ამზადებენ ზამთრის მარაგს, რომელიც ინახება ცალკე საკუჭნაო შენობაში.

4.8. ჯანმრთელობის უფლება

თავშესაფრებში ჩარიცხული დედები და ბავშვები ადგილობრივ პოლიკლინიკებში იმყოფებიან აღრიცხვაზე და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ ამბულატორიული, სტაციონარული, გეგმური და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით. ჯანდაცვის კუთხით, მათ ხელი მიუწვდებათ შემდეგ სერვისებზე: ადგილობრივ პოლიკლინიკაში აღრიცხვაზე აყვანა, გეგმური იმუნიზაციის ჩატარება, საბაზო და ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

შემოწმებულ დაწესებულებებში ხელმისაწვდომია პირველადი ჯანდაცვის ყუთი, საიდანაც საჭირო მედიკამენტებს მომსახურების მიმღებებს დიასახლისი ან ლიდერი აწვდიან. თავშესაფრებში დანერგილია მედიკამენტების გაცემის აღრიცხვის პრაქტიკა და ამ მიზნით დგება/წარმოებს სპეციალური ჟურნალი.

მომსახურების მიმღებთა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას კოორდინაციას დედათა და ბავშვთა თავშესაფრების ადმინისტრაცია უწევს. ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თანახმად, ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესში მთავარი პრიორიტეტი სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებასა და საჭირო მედიკამენტების შეძენას ენიჭება. მწირი

დაფინანსების პირობებში კი, სხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად თავშესაფრებს ზოგჯერ ფინანსური რესურსი აღარ რჩება.[29]

რაც შეეხება ბავშვთა ჯანმრთელობის უფლების დაცვას, მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფრები უზრუნველყოფენ სამედიცინო დაწესებულებებში ბავშვების გეგმურ და არაგეგმიურ ვიზიტებს ექიმთან, მისასალმებელია, რომ საქველმოქმედო ფონდი „კარიტასის" თავშესაფარში დასაქმებული ჰყავთ პედიატრი და მომსახურების მიმღები პირები ადგილზევე რეგულარულად სარგებლობენ მისი მომსახურებით.

პრობლემები გამოიკვეთა დედათა და დაწესებულებების თანამშრომელთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაბალი ინფორმირებულობის, მცდარი, სტერეოტიპული დამოკიდებულებების კუთხით.

5. Covid-19-ის პანდემიის პირობებში მომსახურების მართვა და ადგილზე დაწესებული ძირითადი შეზღუდვები

თავშესაფრებში ძირითადად უზრუნველყოფილია კორონა ვირუსისგან დაცვის საშუალებები - სადეზინფექციო სითხეები ხელისა და ზედაპირების დასამუშავებლად, პირბადეები, ბახილები და დეზობარიერი. თანამშრომლებსა და მომსახურების მიმღებ პირებს ორ კვირაში ერთხელ უტარდებათ PCR ტესტი. ამასთანავე, თანამშრომლების უმრავლესობა ვაქცინირებულია, თუმცა ვაქცინაციის დაბალი მაჩვენებელია მომსახურების მიმღებთა შორის. ყველა თავშესაფარში აქვთ თერმოსკრინინგის საშუალებები და ვიზიტორთა აღრიცხვის ფურცელი, თუმცა შემსვლელ პირებს რეგულარულად არ უტარდებათ თერმოსკრინინგი.

კორონა ვირუსის პირობებში თავშესაფრებში დაწესდა გარკვეული უსაფრთხოების ღონისძიებები და შეზღუდვები. ძირითადი შეზღუდვები შეეხო დაწესებულებაში ვიზიტორების/მნახველი პირების შემოსვლასა და დაწესებულებიდან მომსახურების მიმღებთა დროებითი გასვლის პერიოდულ აკრძალვას, მაგალითად, თავშესაფრების სახლის ტერიტორიაზე აკრძალული იყო მნახველი პირების, მათ შორის, ოჯახის წევრების მიღება, ახლობლების მონახულება მხოლოდ ეზოში ან შესასვლელ ჭიშკართან იყო შესაძლებელი. ქვეყანაში პანდემიის გავრცელების თავიდან ასარიდებლად მიღებული მკაცრი ზომების პერიოდში, შეზღუდვები დაწესდა მომსახურების მიმღებთა გარეთ გასვლის დღეებისა და ხანგრძლივობასთან დაკავშირებითაც.

პანდემიური საფრთხიდან და დაავადების გავრცელების რისკიდან გამომდინარე, თავშესაფრებში შეიზღუდა მომსახურების მიმღებთა ერთობლივი სოციალური ღონისძიებები, მაგალითად, გასვლითი და ჯგუფური სოციალური აქტივობები. გამოიკვეთა, რომ მკაცრი შეზღუდვებისა და იზოლაციის პირობებში, ძალზე დამძიმდა თავშესაფარში ჩარიცხულ პირთა და თანამშრომელთა ფსიქოემოციური მდგომარეობა, გახშირდა კონფლიქტები მომსახურების

[29] მაგალითად, ახალი სეზონური ტანსაცმლის შეძენა დედებისათვის. ამ მხრივ, თავშესაფრებში არსებული გამოცდილება მეტ-ნაკლებად განსხვავებულია იმის მიხედვით, რამდენად საკმარისი დაფინანსება მიეწოდებათ თავშესაფრებს დონორი ორგანიზაციებისგან.

მიმღებთა შორის და დაძაბული გარემოს განმუხტვა კიდევ უფრო გართულდა დაწესებულების ადმინისტრაციისთვის.

დასკვნა

შეფასების შედეგები ცხადყოფს, რომ „დედათა და ბავშვთა თავშესაფრების“ ქვეპროგრამა სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვან მხარდაჭერასა და სამიზნე პირებისთვის გაწეული მომსახურების გაუმჯობესებისთვის ქმედითი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.

უმთავრესი გამოწვევა ისა, რომ სახელმწიფოს არ აქვს ეფექტიანი დამხმარე სოციალური სერვისები თავშესაფარში ჩარიცხული პირების სოციალური უნარების ამაღლების, ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოთერაპიული კონსულტირებისა და რეაბილიტაციის, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებისა და მხარდაჭერის კუთხით. ამ მიმართულებით სუსტია ადგილობრივი თვითმმართველობების მხარდაჭერა და მუნიციპალური პროგრამებით წახალისება.

ხშირ შემთხვევაში, მომსახურების მიმღებთა საჭიროებების უზრუნველყოფა და შემთხვევებზე ეფექტიანი ზედამხედველობის პასუხისმგებლობა თავშესაფრებზეა დამოკიდებული და სახეზეა, როგორც სახელმწიფო სოციალური მუშაკების ჩართულობის, ისე თავშესაფრის თანამშრომლებთან და სოციალურ მუშაკებთან კოორდინაციის გაძლიერების საჭიროება.

არასაკმარისია „დედათა და ბავშვთა თავშესაფრების“ ქვეპროგრამის განხორციელებისთვის სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი ფულადი რესურსიც, რომლის ფარგლებშიც სამიზნე ჯგუფის მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებაც ვერ ხერხდება. ხშირად, თავშესაფრების ადმინისტრაცია დამოკიდებულია დონორი ორგანიზაციების ფინანსურ და სხვა სახის მატერიალურ დახმარებაზე; ამ მოცემულობით, თავშესაფრებში მცხოვრები დედები და ბავშვები, მართალია, უზრუნველყოფილნი არიან 24-საათიანი თავშესაფრით, ჯანდაცვისა და კვების სერვისებით, თუმცა თავშესაფრების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განცხადებით, დაფინანსების გაზრდის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება დამატებითი კადრების მობილიზება, რაც უზრუნველყოფს სერვისის ხარისხის გაუმჯობესებას.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, მთავარ გამოწვევას წარმოადგენს დედების დასაქმების ხელშეწყობა და პროფესიული განვითარება, რაც გამოწვეულია რესურსების ნაკლებობით. ამ მიმართულებით, გარდა ადამიანური თუ ფინანსური რესურსების ნაკლებობისა, პრობლემურია პროფესიული კოლეჯების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობაც.

საჭიროებები იკვეთება დაწესებულებებში კონფლიქტური სიტუაციების მართვის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავების კუთხით. ასევე, აუცილებელია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, სტერეოტიპული დამოკიდებულებებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის თემატიკაზე, როგორც თავშესაფარში მცხოვრები დედების, ის იქ დასაქმებული კადრების გადამზადება.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- შემუშავდეს დამხმარე სახელმწიფო სერვისები დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში ჩართულ პირთა სოციალური საჭიროებების ამაღლების, სოციალიზაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ჯეროვნად მომზადების უზრუნველსაყოფად.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გადაიხედოს დედათა და ბავშვთა თავშესაფრების დაფინანსების მოცულობა, შეფასდეს, საკმარისია თუ არა გაცემული ფულადი სარგებელი მომსახურების ეფექტიანად მისაწოდებლად და მომსახურების მიმღებთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. შემუშავდეს გეგმა თავშესაფრების ქვეპროგრამის დაფინანსების ეტაპობრივად გასაზრდელად
- სოციალურმა მუშაკებმა ყოველმხრივ და აქტიურად გამოავლინონ დედათა და ბავშვთა თავშესაფრების მომსახურების მიმღებთა საჭიროებები
- შემუშავდეს დეტალური სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად გაიწერება, თუ რა შემთხვევებში ერთვება სააგენტო პროვაიდერი ორგანიზაციის მიერ შემთხვევის მართვის პროცესში, რაც მოიცავს მხარეებს შორის შეთანხმებულ მუშაობას
- „დედათა და ბავშვთა თავშესაფრების“ მომსახურების მიმღებ პირებს გაეწიოთ ჯეროვანი და ყოველმხრივი კონსულტირება თავიანთი უფლება-მოვალეობების, უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ
- სააგენტომ გამოავლინოს და აღრიცხოს ყველა ის საკითხი, რომლის მიმართულებითაც თავშესაფრების თანამშრომელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება იკვეთება, მათ შორის, წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილ თემატიკაზე: ქცევითი სირთულეების მქონე მომსახურების მიმღებ პირებთან მუშაობის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, სტერეოტიპული დამოკიდებულებების, პერსონალური მონაცემების დაცვის და ა.შ. თემატიკაზე; ამის შემდეგ, სააგენტომ გაუწიოს ზედამხედველობა სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს, რათა მათ ეტაპობრივად უზრუნველყონ თანამშრომლების გადამზადება
- შეისწავლონ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურული საჭიროებები და გამოვლენილი ხარვეზების შესაბამისად, შემუშავდეს დეტალური გეგმა, რომლის საფუძველზეც, ვადების მითითებით, გაიწერება ინფრასტრუქტურული გამოწვევების გადაჭრის კონკრეტული ღონისძიებები
- ხელი შეეწყოს თავშესაფრებში ჩარიცხულ პირთა მხრიდან უკუკავშირისა და გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმის დანერგვასა და გამოყენებას.

ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. ხაშურის თვითმმართველობებს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის ფარგლებში, პროვაიდერ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან კონსულტაციების გზით,

შემუშავდეს „დედათა და ბავშვთა თავშესაფრების“ მომსახურების მიმღებთა საჭიროებებზე მორგებული, სპეციალური მხარდამჭერი პროგრამები, მათ შორის, როგორც მათი დამოუკიდებელი ცხოვრების მოსამზადებლად, ისე თავშესაფრების ინფრასტრუქტურის და ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების ხელშესაწყობად საჭირო მხარდამჭერი პროგრამები და სერვისები.